ოქმი:**ო63. 63240263**
თარიღი:**31/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

სამტრედია 17 იანვარი, 2024 წელი**.**

2024 წლის წლის 17 იანვარს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ტარიელ ცომაიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ჯონი ახობაძე, გიორგი გაგუა, მანანა სირბილაძე, პაატა კოხრეიძე, გივი ჯულაყიძე, ზაზა ადეიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 დეკემბრის N :62-6223359119 წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, (8 ხმით) დამტკიცებული იქნა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის***

მერის 2023 წლის 25 დეკემბრის N 62-6223359119 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის, საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების (განაცხადის №:48058EKA92435523 აუქციონის №:48058 ლოტის №:924355, დაწყება/დასრულება 07.09.2023-15.09.2023, განაცხადის №:48058EKA93762423 აუქციონის №:48058 ლოტის №:937624, დაწყება/ დასრულება 01.11.2023-09.11.2023 და განაცხადის №:48058EKA94808623 აუქციონის №:48058 ლოტის №:948086, დაწყება/დასრულება 12.12.2023-20.12.2023) შედეგად, არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტით განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს, საკრებულომ განიხილოს და დაამტკიცოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

- პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომსიას შემდგომი ფუნქციონირებისავის ესაჭიროება მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა, რომელსაც საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კოორდინაციას უწევს და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად დამტკიცდეს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო** გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

დანართი N1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა

1. 2024 წლის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა- დამტკიცება (იანვარი).
2. 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავება, გაცნობა, განხილვა. (I კვარტალი).
3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის, თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესაბამისად, განხორციელებული პროექტების განხილვა (I კვარტალი).
4. საგარანტიო ვადის გასვლის პირას მყოფი ინფრასტრუქტული ობიექტების შემოვლა-დათვალიერება, მონიტორინგი (მთელი წელი).
5. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის განხილვა და ანალიზი (თებერვალი).
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ, დადგენილების პროექტის განხილვა (თებერვალი).
7. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროექტების გაცნობა-განხილვა (I კვარტალი).

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტში შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ, განსახორციელებელი მასშტაბური ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მონიტორინგი და მოსახლეობისთვის სამუშაოების ირგვლივ ინფორმაციული სახის შეხვედრების მოწყობა. (მაისიდან მთელი წლის განმავლობაში).
9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2024 წლის მუშაობის ანგარიშის მოსმენა (წელიწადში ორჯერ).
10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური სამსახურის მიერ, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა (წელიწადში ერთხელ).
11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. (წელიწადში ერთხელ).

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ. მსჯელობის შედეგად არსებული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნა პროექტში.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და შევიდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

ამით დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი; ბეჟან გოგია

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი